ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2342270

ნომერი: AR1362760

თარიღი : 08.12.2015

გაცემის თარიღი : 14.12.2015

გაცნობის თარიღი : 14.12.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მერებაშვილი პ/ნ 01007015586
- დ. ბაქრაძის 4 ბ2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის ნაწილი მდებარეობს საპროექტო რკინიგზის შეზღუდვის ზონაში, რომლის განლაგება დღევანდელი მდგომარეობით პირობითია და შესაძლებელია განიცადოს მაგისტრალის კონტურების ცვლილება. აღნიშნული გარემოების გამო რკინიგზის პროექტის დამუშავებამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს აღნიშნული შეზღუდვის ზონაში ნებართვები, თუმცა იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი თანხმობა „სს საქართველოს რკინიგზიდან“ ტერიტორიის შემოღობვის თაობაზე, შესაძლებელი იქნება ღობის მოწყობა განხორციელდეს დროებითი სტატუსით.

გარდა ამისა:

1. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" – ფოტომონტაჟზე მიუთითეთ ყველა გაბარიტული ზომა, მათ შორის სიმაღლეც. გაითვალისწინეთ: საქართველოს მთავრობის 2014 წ. 15 იანვრის #59 დადგენილების V თავის, მუხლი 32, პ.2–ის თანახმად 2,2 მეტრზე მეტი სიმაღლის ღობის მოწყობის შემთხვევაში, საჭიროა წარმოადგინოთ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა
2. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში" – მეტი თვალსაჩინოებისათვის ატვირთეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო ღობის და ტერიტორიაზე შესასვლელის ჩვენებით

გაითვალისწინეთ: სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.